

გოჩა კუჭუხიძე

Gocha Kuchukhidze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

კვლავ კლდე-კანელის ლექსების გამო

Again about Verses by Klde-Kaneli

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10033>

This article responds to Dr. Julieta Gabodze's polemic letter, where she does not share my view about two verses printed on the paper, that are maintained at the National Archive of Georgia. The verses are submitted to Censorship Committee by the editors of newspaper *Theater* in 1886 for issuance of publication permit. They are written under the pseudonym *Klde-Kaneli*. Below this pseudonym we see surname *Palavandishvili*. Publication of mentioned verses is banned by the Committee. Klde-Kaneli's poetic works are stylistically very close to the Nikoloz Baratashvili's works (one of Klde-Kaneli's verses is titled as Baratashvili's poem – *I Found the Temple*). In my opinion, these verses may have been composed by Baratashvili.

According to the memoirs of Baratashvili's contemporaries, young poet has concealed his identity and sent critical verse to Palavandishvili, Tbilisi Governor; he also wrote verses about 1832 plot (plot for liberation of Georgia was betrayed by Palavandishvili and his brother).

In the verse *I Found the Temple* Klde-Kaneli insults certain person and glorifies the heroes which sacrificed themselves to great idea. I suppose that this is the critical verse sent by Baratashvili to Palavandishvili and it is about Georgian plot of 1832; Palavandishvili was known as manuscripts' collector and probably he kept these verses and later they occurred at the editor's office of the *Theater*. It seems editors did not know the author's identity or they thought that Palavandishvili was the author and submitted the verses to the Committee under the surname of a person, from whose library they came...

I cannot share Gabodze's view that these verses were written by Baratashvili's epigone. Baratashvili's poetry was not published in his lifetime, but many families had his manuscripts and if anyone decided to write and pub-

lish imitation of the poet's verses, this would be easily opened and regarded as literary plagiarism... I also cannot offer that the verses were written after publication of Baratashvili's poems with the allusion to them, if it were so, the author would mention (e.g. in the epigram) that his verses were response to Baratashvili...

Gabodze offered that the author's pseudonym is *Kldekareli* (a person from village *Kldekar*). But the text mentions *Klde-Kaneli* twice and I think, Gabodze's view requires better argumentation. Georgian word "Klde" means *a rock* and *Kana* supposedly is the location (*Cana of Galilee*), where Jesus Christ has worked the Miracle (John 2:11). Supposedly, the pseudonym implies that irrespective of the defeat, the author is as firm as Apostle Peter (Peter /"rock") and he hopes to see the Divine Miracle and his homeland will be liberated.

The polemist regards that the verse – *I Found the Temple* has no political context and it does not criticize anyone. I mentioned in my article that sections 6 and 9 of the Censorship Committee's statute prohibit publication of the materials that are politically harmful or insult the State. The verses were banned on the basis of these articles and thus, apparently, they are of political nature.

I think there are the reasons to suppose the autor of the mentioned poems is Baratashvili...

საკვანძო სიტყვები: ბარათაშვილი, კლდე-კანელი, საცენზურო კომიტეტი

Key words: Baratashvili, Klde-Kaneli, Censorship Committee

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია გაზეთ „თეატრის“ რედაქციიდან კავკასიის საცენზურო კომიტეტში გაგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ 1886 წლის იანვარში აკრძალული ორი ლექსი: „„ვპოვე ტაძარი“...“ და „ღმრთის შობელს“ (ფ. 480, ანაწ. 1, დოკ. 718, გვ.1); გადაბეჭდილ ტექსტზე, ლექსების ქვემოთ, წერია ფსევდონიმი „კლდე-კანელი“ და იქვე ხელით მიწერილია გვარი – *ფალავანდიშვილი*. ლექსები სტილით ძალიან ჰგავს ნიკოლოზ ბარათაშვილისას. გასულ წელს გამოქვეყნდა პროფ. ჯულიეტა გაბოდის (ჩინებული

მკვლევარის, ჩემი კოლეგის, მეგობრის) სტატია (გაბოძე 2024), რომელშიც უარყოფილია მოსაზრება (კუჭუხიძე, 2023; 2024ა), რომ ეს ლექსები, შესაძლოა, ნიკოლოზ ბარათაშვილს ეკუთვნოდეს, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებისადმი იყოს მიძღვნილი და ტფილისის გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის არქივიდან მომდინარეობდეს. პოეტი მძიმე მდგომარეობაში ყოფნაზე წერს, ლექსიდან „ვპოვე ტაძარი“ ვხედავთ, რომ სულიერ ტკივილს ის ფაქტი აყენებს, მის უპატრონოდ დარჩენილ „ტაძარს“ (ჩანს, – სამშობლოს) „მგესლავები“ რომ დაპატრონებიან და წმიდა მოწამეებად მიიჩნევენ ამ „ტაძრის დასახსნელად“ თავშეწირულ რომელიღაც პიროვნებებს (მეორე ლექსში ავტორის ძლიერი სევდაა გამოხატული); როცა ვფიქრობ, რას გამოუწვევია ავტორში სევდიანი და, ასევე, მრისხანე განწყობილება, ვის მიმართავს შეურაცხმყოფელად, – ვინ არის ის ერთ-ერთი „მგესლავი“, რომელსაც ეუბნება, რომ ფიზიკურად დამარცხდნენ, მაგრამ წმიდა მოწამეებად შეიქმნენ ტაძრის გასათავისუფლებლად თავშეწირული ადამიანები, ვინ არის იგი, ვინც სულ იმას ფიქრობს, როგორ შეძლოს, რომ „ტაძრის დახსნა“ „*უფლისა ძეთ დაუჯდეთ ძვირად*“, ვის გულისხმობს წმიდა მოწამეებში, რადგან 80-იანი წწ-ის ახლო ხანებში ლექსში ასახულის მსგავსი მოვლენა არ მომხდარა ქვეყანაში, უფრო ადრეული მოვლენები – 1832 წლის შეთქმულება მახსენებს თავს, ის ადამიანები წარმომიდგებიან თვალწინ, რომელთა ნაწილს ნიკოლოზ და იასე ფალავანდიშვილების გამცემლობის შემდეგ სიკვდილი მიესაჯათ; როცა ვიხსენებ, რომ, ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, ყმაწვილ პოეტსა და მის მეგობრებს თავიანთ სახელთა გასაიდუმლოებით შეურაცხმყოფელი ლექსები გაუგზავნიათ გუბერნატორი ფალავანდიშვილისა და სხვათათვის, რომ ხელნაწერებს აგროვებდა გუბერნატორი და დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, იბადება აზრი, რომ ფურცელზე მიწერილი გვარი – ფალავანდიშვილი არა ლექსების ავტორის – არამედ მათი მფლობელის ვინაობაზე მიანიშნებს, რომ თავდაპირველად გუბერნატორის ბიბლიოთეკაში ინახებოდა ისინი და შემდეგ ჯერ „თეატრის“ რედაქციაში და იქიდან კი საცენზურო კომიტეტში მოხვდა, რომ იმ ლექსთაგანია ჩვენ წინაშე, რომლებიც ახალგაზრდებმა გაცემის მოთავე ფალავანდიშვილს გაუგზავნეს; მიუხედავად იმისა, სასტიკად რომ იყო შეურაცხყოფილი, საფიქრებელია, რომ შეინახავდა ამ ლექსებს ბიბლიოთეკაში ფალავანდიშვილი... ამ და სხვა საკითხებზე ჩემს ხსენებულ წერილებში ვრცლადაა საუბარი და ახლა პოლემიკურ სტატიაზე გადავიტან სიტყვას:

ჯ. გაბომის სტატიას ისეთი სათაური აქვს (2024), თითქოს ეჭვ-გარეშე იყოს, რომ ეპიგონს ეკუთვნის ეს ლექსები. ამ აზრს ვერ მივი-ღებ: ბარათაშვილის ლექსები ბევრ ოჯახში ინახებოდა და მათ გამოქ-ვეყნებამდე პოეტის ლექსის სიტყვათა პირდაპირ გამეორებას („ვპოვე ტაძარი უდაბნოს მდგარი“; აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილის ლექსის ერთ-ერთ ხელნაწერში ასევე წერია „უდაბნოს“ და არა – „უდაბნოდ“) ვერ გახედავდა ეპიგონი, რადგან ასე მოქცევა მხოლოდ ჩვეულებრივ მიმზამველობად კი არა – ლიტერატურულ ქურდობად ჩაეთვლებოდა, რაც ადვილად გამჟღავნდებოდა; ამგვარ საქციელს მის ლექსთა გამოქვეყნების შემდეგ მით უმეტეს ვერ გახედავდა, რადგან უფრო ნათლად წარმოჩნდებოდა ქურდობის ფაქტი. ვერც იმას ვიფიქრებ, რომ არა ეპიგონის – არამედ პოეტთან ლიტერატურული გამოხმა-ურების მოსურნის დაწერილია ლექსები, – გამოქვეყნებელ ლექსებზე არ დაწერდა იგი გამოხმაურებას, მათი დაბეჭდვის შემდგომ კი ალბათ შეეცდებოდა, მკაფიოდ, ცხადად წარმოეჩინა, რომ არ იქურდა და რომ ბარათაშვილზე რემინისცენცია გააკეთა მის სიტყვათა იდენტური გამეორებით; ეპიგრამის მიწერით, ან სხვაგვარად, მოახერხებდა ამას.

მკვლევარი წერს: *«სრულიად არასარწმუნოა არგუმენტი, რომ 1886 წელს გაზ. „თეატრის“ რედაქციის მიერ საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ლექსების ხელმომწერი ვინმე ფალავანდიშვილი, ფსევ-დონიმით „კლდე-კანელი“ და 1855 წ. გარდაცვლილი უმაღლესი რან-გის ჩინოვნიკი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი ერთი და იგივე პირია. განა ამ გვარის წარმომადგენელი იმ დროს ცოცხალი სხვა აღარავინ იყო?»* (2024, გვ. 357).

მე არ მითქვამს, რომ კლდე-კანელი ეს იგივე ნიკოლოზ ფალავან-დიშვილია... არც ის მგონია, საერთოდ, ვინმე ფალავანდიშვილი იყოს ამ ფსევდონიმის მქონე და ლექსების ავტორი; ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა ხელნაწერში ავტორის გვარი ნახსენები (ანაბეჭდზე ავტორის ხელმოწერა არ გვაქვს, იგივე კალიგრაფიით სხვა ფსევდონიმებთანაცაა გვარები მიწერილი, – ჩანს, რედაქციას გაუკეთებია მინაწერები, ან, შესაძლოა, ცენზორი აზუსტებს, ვისი სახელით არის ნაწარმოებები კო-მიტეტში წარდგენილი), არქივში არაერთგან გვხვდება დოკუმენტები, რომლებიდანაც ვხედავთ, როგორ ცდილობს ესა თუ ის რედაქცია, ფსევდონიმი დაუსახელოს კომიტეტს და ავტორის ხსენებას კი თავი აარიდოს და, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც მსგავსი რამ მომხდარა, რომ ხელნაწერის მფლობელი დაუსახელებია „თეატრის“ რედაქციას, რათა, თუ გაირკვეოდა, რომ ავტორი არაა ფალავანდიშვილი, თავი იმით

ემართლებინა, რომ ავტორი უცნობია და ამიტომ კოლექციონერი და-
სახელა (არქივში უამრავია ისეთი დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანს,
ცენზურისგან ნებადაურთველად, ავტორის მხოლოდ ფსევდონიმის
დასახელებით ხშირად რომ იბეჭდებოდა ხოლმე მასალა); ლექსში 1832
წლის მოვლენებსა და დიდმოხელის შეურაცხყოფის ფაქტს ვხედავ,
ამიტომ ავტორად არა, მაგრამ იმ შეურაცხყოფილ გუბერნატორად კი
მესახება აქ ნახსენები ფალავანდიშვილი, რომლის ბიბლიოთეკაშიც
ინახებოდა ლექსები და, რადგან დარწმუნებულია ჯ. გაბომე, რომ ამ
გვარის ადამიანი ავტორია ლექსებისა, გვაქვს საგვარეულოს **გენეალო-
გიური ტაბულა** (იხ. ჩიქოვანი, ბიჭიკაშვილი) და შეგვიძლია, ერთად
ვიკვლიოთ, **კერძოდ რომელ ფალავანდიშვილს** შეეძლო დაეწერა
ზემოთ წარმოჩენილი აზრების შემცველი სტრიქონები; ჩანს ასეთი
პიროვნება?

ჯულიეტა გაბომის აღნიშვნით, *«არ დასტურდება არავითარი
ცნობა ამ ლექსების არსებობის შესახებ. რჩება მხოლოდ ერთადერთი
წყარო – თანამედროვეთა მოგონებები ბარათაშვილის შესახებ. ამ
დროისათვის შემორჩენილია ლევან მელიქიშვილის, კონსტანტინე მა-
მაცაშვილის, პეტრე ბაგრატიონის, ლუკა ისარლიშვილის, გრ. გური-
ელის, მიხეილ ბარათაშვილის მოგონებები, რომლებიც, გადმოცემუ-
ლია იონა მეუნარგიას, ზაქარია ჭიჭინაძის, სამსონ აბაშიძის, აკაკი
წერეთლის მიერ»*, მკვლევარი წერს: *„ანუ გვაქვს სხვა პირთა მიერ გად-
მოცემული მონათხრობები, რომელთაც ეყრდნობიან მე-20 საუკუნის
მკვლევრები, მათ შორის, პავლე ინგოროყვა, რომელსაც, თავის მხრივ,
მთლიანად ემყარება გოჩა კუჭუხიძე და საკუთარი ჰიპოთეზის დასამ-
ტკიცებლად აქტიურად იყენებს მეცნიერის მიერ სხვადასხვა კონტექ-
სტში გამოთქმულ ამა თუ იმ მოსაზრებასა თუ ვარაუდს“*; შემდეგ ასეთ
დასკვნას აკეთებს ჯულიეტა გაბომე: *„როგორც ვხედავთ, ვიღებთ ე. წ.
„პირამიდას“, რომლის საძირკველი „ჭრელი ქვებისგან“ (განსხვავებუ-
ლი ამბებისგან) შედგება»* (2024, გვ. 350), აღნიშნავს, რომ *„არ არსებობს
მოგონების ავტორთა წერილობითი წყარო“* (2024, გვ. 352) და დასძენს:
*„ატრიბუციის კვლევისას მემუარები ერთ-ერთი დამხმარე წყაროა, მაგ-
რამ არცთუ მთლად სარწმუნო არგუმენტი, მით უფრო მაშინ, თუკი მა-
თი ავტორები მოვლენის უშუალო თვითმხილველნი არ არიან“* (2024,
გვ. 353).

მოგონებებს, მიუხედავად იმისა, თვითმხილველთა მიერ არის
დაწერილი, თუ – არა, „დამხმარის სტატუსი“ არ ენიჭება; **საჭიროა,**
ერთმანეთს შევადაროთ მოგონებები, მომგონებელთა პიროვნებები,

გავითვალისწინოთ იმ დროის რეალიები, რომელშიც ცხოვრობდნენ ისინი და კრიტიკული ანალიზის შედეგად შევეცადოთ ტყუილ-მართალის გარჩევას; მსოფლიოს მთელი ისტორია თვითმხილველებს ხომ არ დაუწერიათ, რასაც „მეფეთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, თავად ლეონტი მროველს ხომ არ უხილავს, *„მოვლენის უშუალო“* თვითმხილველის *„წერილობითი წყარო“* ხომ არ არის ჩვენ წინაშე; *„თვითმხილველთა“* მიერაც იწერება ისტორია და წერილობით წყაროებსაც, ზეპირ გადმოცემებსა და სხვათაგან უშუალოდ მოსმენილ ამბებსაც ეყრდნობა ისტორიის მთხრობელი... ეს იმდენად ცნობილი საკითხებია, მათზე მსჯელობა არ არის საჭირო და ამიტომ სხვა გარემოებაზე გადავიტან სიტყვას:

მოგონებებიდან ვხედავთ, არაერთი კრიტიკული ლექსი, პასკვილური წერილი რომ ჰქონია ბარათაშვილს დაწერილი, არ ჩანს ამ ფაქტების სიმართლეში ექვის შეტანის საფუძველი და გაუგებარია, რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ნატყუარია რომელიმე მოგონება; პოეტის მიერ დიდმოხელეებთან კორესპონდენციათა გაგზავნის ამბებს რამდენიმე ავტორი გადმოგვცემს: იონა მეუნარგია ლევან მელიქიშვილის მოგონების საფუძველზე წერს, რომ სასწავლებელში ქართველ მოსწავლეთა მიერ გამართული კონცერტი იქაურ სომხებს სასაცილოდ აუგდიათ, რის გამოც გაგულისებულ ბარათაშვილს დაუწერია სატირული ლექსი, რომელიც მელიქიშვილს გადაუწერია და პეტრე ბაგრატიონს კი ფოსტალიონის წიგნში ჩაუდია და ზედ დაუწერია, რომ თავად ფალავანდიშვილს მირთმეოდა იგი (მოგონებათა ტექსტებს ჯ. გაბომის სტატიიდან ვცитირებ /2024, გვ. 351); პეტრე ბაგრატიონი იგონებს (აკაკი წერეთლის თანახმად): *„ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით, ჩანთაში ჩავუდებდით ხოლმე“* (2024, გვ. 351); ჯულიეტა გაბომის თქმით, ბაგრატიონი სამსონ აბაშიძესთან საუბრისას *„განსხვავებულ ვერსიას“* იხსენებს: *„მე, ლევან მელიქიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად ვსწავლობდით მაშინდელ გიმნაზიაში და სამივე ერთ დღეს გამოგვრიცხეს სასწავლებლიდან... ჩვენს დროს საზოგადოება დიდად დრტვინავდა ვაჭრებზედ როგორც სიძვირის გამო, ეგრეთვე ზომაში მოტყუების გამო“*; ბაგრატიონი დასძენს: *„ჩვენ... გვსურდა იმათი გასწორება და ამისთვის ბარათაშვილი ლექსებს წერდა, მელიქიშვილი გადამწერი იყო და მე კი კონვერტებს ვამზადებდიო. ამნაირად შემზადებულს ლექსებს ვგზავნიდით მთავარ მართებლის, დიდკაცობის და ზოგიერთი ვაჭრის სახელზედ, ჩუმად ვსდებდით პოჩტალიონის სახელზედ“* (2024, გვ. 351-352); გიორგი ანდრონიკაშვილის მოგონება

ასეთია: „მთავარმართებელ როზენს, რომელმაც დაათვალიერა სასწავლებელი და ადიუტანტად აირჩია ლ. მელიქიშვილი, ტატომ დაუწერა ცხარე წერილი და პეტრე ბაგრატიონის ბეჭდით ჩაუგდეს ფოსტალიონს“, მას რატომღაც არ წაუღია ეს წერილი და „რადგან არ წაიღეს“, – იგონებს ანდრონიკაშვილი, ის „გადაწერა ლევან მელიქიშვილმა და ისე გაუგზავნეს ბარონ როზენს, რომელიც გაბრაზდა და გამოძიება დანიშნა და როგორც ვიცით, ტატოს 300 როზგი დაჰკრეს“ (2024, გვ. 353).

მოგონებებიდან ჩანს, რომ ურთიერთგამომრიცხავ ამბებზე („ჭრელ ქვებზე“) „დაშენებული პირამიდა“ (ერთმანეთის საპირისპირო ფაქტებისგან მიღებული ერთი ყალბი ისტორია) კი არა – დამოუკიდებელი და, არაერთ შემთხვევაში, ის სხვადასხვა ამბავია ჩვენ წინაშე, რომელიც კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ერთ მრავალფეროვან სურათს აყალიბებს, ამდიდრებს და მრავალფაქტობრივს ხდის ისტორიას; მელიქიშვილის მოგონებიდან ვხედავთ, რომ ფალავანდიშვილთან სატირული ლექსი გაუგზავნიათ ახალგაზრდებს, ბაგრატიონისგან ის ირკვევა, რომ მთავარმართებელს (ბარონ როზენს), ვაჭრებს და სხვა „დიდკაცებს“ ასევე სწერდნენ ყმაწვილები; ანდრონიკაშვილთან ისევ მთავარმართებელია ნახსენები და წერილის გაგზავნის შესახებ არის მოთხრობილი; ძალზე საყურადღებოა გრიგოლ გურიელის (ბარათაშვილის თანაკლასელის) მოგონება, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას ეხება, – იგი ყვება, რომ ბარათაშვილს ბევრი ლექსი ჰქონდა მთავრობის წინააღმდეგ დაწერილი, რომ ჟანდარმები მისულან მასთან და მათ მისვლამდე გაუნადგურებია ისინი პოეტს; თუმც, ჩანს, ჟანდარმებს სხვა ლექსებიც ჰქონიათ ხელთ და შეკითხვაზე, ეკუთვნოდა თუ არა მას ესა თუ ის ლექსი, პოეტს უარით უპასუხია;¹ მოგონებათაგან ვხედავთ, სისტემატურად რომ მეორდებოდა წერილების გაგზავნის ფაქტები („ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით, ჩანთაში ჩავუდებდით ხოლმე“; „ლექსებს ვგზავნიდით“), რომ სხვადასხვა პიროვნებასთან აგზავნიდნენ ყმაწვილები წერილებს და ერთ-ერთ ასეთ პიროვნებად ნიკოლოზ ფალავანდიშვილიც არის დასახელებული, გრიგოლ გურიელის ჩვენებიდან კი ცხადი ხდება, რომ ჟანდარმერიას ისეთი ხელმოუწერელი ლექსები ჩავარდნია ხელთ, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებას უკავშირდებოდა და რომლებიც, შესაძლოა, გაგზავნილიც იყო სადღაც (სრულიად დასაშვებია მოსაზრება, მათ შორის ის ლექსებიც ყოფილიყო, გუბერნატორს რომ გაუგზავნეს ყმაწვი-

ლებმა); ისტორიის ერთ საინტერესო ფურცელს წარმოაჩენენ მთხრობელები და გაუგებარია, რატომ არ უნდა დავუჯეროთ მათ.

ჯულიეტა გაბოდე სვამს კითხვას: „ეს ნივთმტკიცება ხომ ადრესატმა, მაშინდელმა გუბერნატორმა ფალავანდიშვილმა, გადასცა ჟანდარმერიას, მაშ, როგორღა მოხვდა ისინი მის არქივში? განა დანაშაულის გახსნის შემდეგ მტკიცებულებები უკან უბრუნდება მომჩივანს? ან გუბერნატორი რა მოტივით მოითხოვდა ხელისუფლების საწინააღმდეგო პასკვილის დაბრუნებას და თავის არქივში მის შენახვას?“ (2024, გვ. 355).

ვპასუხობ შეკითხვას: ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, ბიბლიოფილს, შეეძლო გადაეწერა და შეენახა ლექსები, ორიგინალები კი ჟანდარმერიისთვის გადაეცა. აქვე დავძენ: თუ შეასრულა გუბერნატორმა მოვალეობა და გადასცა ხელნაწერები ჟანდარმერიას,² მაშინ პოეტის დასჯის ერთ-ერთ მიზეზად აუცილებლად იქცეოდა ისინი; ანდრონიკაშვილის მოგონება საფიქრებელს ხდის, რომ უშუალო მიზეზი (ხელისუფლების განრისხების გამომწვევი „ბოლო წვეთი“) არა ეს ლექსები, არამედ ბარონ როზენთან წერილის გაგზავნის ფაქტი გახდა, რომ ოფიციალურად ამის გამო დასაჯეს ყმაწვილი, მაგრამ ხსენებული ლექსებიც შეიტანდა დასჯაში ასევე მთავარ როლს (იქნებ ვერც დაუმტკიცა ჟანდარმერიამ პოეტს, მაგრამ ეცოდინებოდა, მან რომ დაწერა ისინი); ყმაწვილთა მიერ შეთქმულთა გაცემის მოთავე გუბერნატორთან გაგზავნილს ნამდვილად ჰგავს ეს ორი ლექსი და საფიქრებელი ხდება, რომ მისი პირადი არქივიდან (რომელიც, შესაძლოა, ბოლოს საგუბერნიო ბიბლიოთეკას ჩაბარდა) არის ჯერ „თეატრის“ რედაქციაში, შემდეგ კი კომიტეტში მოხვედრილი.³

აქვე ასეთი შეკითხვა აქვს დასმული ჯულიეტა გაბოდეს: „თუკი, გოჩა კუჭუხიძის მტკიცებით, აღნიშნული ლექსები 1833 წელს დაიწერა და ის გაუგზავნეს მაშინდელ გუბერნატორ ფალავანდიშვილს, [...] ნუთუ გამოდიება შეთქმულებს არაფერს ჰკითხავდა ამ ფაქტის შესახებ? არცერთ დაკითხვის ოქმში მსგავსი კითხვა არაა დასმული!“ (2024, გვ. 356).

ჩემი პასუხი: ჟანდარმერია არაფერს ჰკითხავდა შეთქმულებს ლექსების შესახებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შეთქმულთა დაპატიმრების შემდეგ ჩანს ისინი დაწერილი; რატომ უნდა ეკითხათ, – საიდან ეცოდინებოდათ შეთქმულებს, რას წერდნენ გიმნაზიის ყმაწვილები მათი დაპატიმრების შემდგომ?

მკვლევარი მკითხველთ მოუთხრობს: „გოჩა კუჭუხიძე ლექსებს **1833 წლით ათარიღებს**, რითაც ცდილობს მეტ-ნაკლებად დააკავშიროს მისი შინაარსი 1832 წლის მოვლენებთან“; იქვე დასძენს: „გ. კუჭუხიძის ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ „კლდე-კანელისეული „ვპოვე ტაძარის“ სიტყვები – „მგესლავთა უხამსთ“ ძალიან ჰგავს ბარათაშვილის გამოთქმას „ავის ენისა გესლი“, ლექსი, რომელშიც ეს სიტყვებია ნახსენები, გრიგოლ ორბელიანთან გასაგზავნ წერილში ჩაწერა ბარათაშვილმა...“ და შემდეგ ამ კითხვას სვამს ჯ. გაბოძე: „მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ეს წერილი და შესაბამისად, ლექსი „ძია გ-ს“ ასე თარიღდება: „ტფილისი, გარეთუბანი, **1837 წელსა, თებერვალის**.“ [...] თავად ლექსი „ვპოვე ტაძარი“ კი მოგვიანებითაა დაწერილი, სახელდობრ, **1841 წელს**“ (2024, გვ. 358).

კი, მაგრამ რა არის იმაში შეუძლებელი, რომ ყმაწვილობისდრინდელ ლექსში ნახსენები სიტყვა მოგვიანებით ბიძამისთან გასაგზავნ წერილში, შემდეგ კი თავის შედეგში („ვპოვე ტაძარი“) გაემეორებინა პოეტს? რაც შეეხება ლექსის დათარიღებას, როცა პავლე ინგოროყვას ნაშრომზე დაყრდნობით (ინგოროყვა, 1983; გვ. 55) ვწერდი, რომ 1833 წელს გაუგზავნეს კორესპონდენცია ყმაწვილებმა გუბერნატორს (2024ა, გვ. 174), ვგულისხმობდი, რომ, თუ 1832 წლის მოვლენებია ერთ-ერთ ლექსში ასახული, შეთქმულთა გაცემის **ახლო ხანებში** იქნება ისინი დაწერილი, რადგან გამცემლობის გამო გაგულისებულ ადამიანის მყისიერი ემოციაა საგრძნობი მათში (სასტიკი სასჯელი ემუქრებოდათ შეთქმულებს და **გულწრფელი** ემოციით ჩანს ლექსები ინსპირირებული /ეპიგონური განწყობა ნამდვილად არ იგრძნობა მათში); თუმც, არც ის არის გამორიცხული, იმ დროს იყოს ეს სტრიქონები შექმნილი, როცა **სიკვდილი მიესაჯათ** შეთქმულებს და ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ **1834 წლის შემდგომ** დაუწერიათ ხსენებული ლექსები; რადგან შეთქმულები 1832 წლის 9 დეკემბერს გასცეს და მალევე დაიწყო მათი დაპატიმრება, **თეორიულად** ისიც დასაშვებია, რომ შეიტყეს ყმაწვილებმა გაცემის შესახებ, რომ 1832 წელსვე დაწერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა და მაშინვე, ან მოგვიანებით, გაუგზავნეს ლექსები გუბერნატორს; **მე არ მითქვამს, რომ 1833 წელს დაიწერა ისინი.**

ჯულიეტა გაბოძის თქმით, „**სამწუხაროდ ლექსის დასათარიღებლად არც ის არგუმენტია სარწმუნო, რომ „ლექსი დიდი მოვლენიდან ახლო პერიოდშია შექმნილი**“, შემდეგ ვკითხულობთ: „**ნაწარმოების დათარიღებისას ტექსტოლოგიაში ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ რეალიებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალს**

არ შეუძლია შექმნას ნაწარმოები ადრეულ, თუნდაც ასწლეულებით წინ მომხდარ მოვლენებზე“, მკვლევარი წერს: „დროისა და სივრცის პრობლემა დაბრკოლებას არ წარმოადგენს“, „არაერთი ნაწარმოების დასახელება შეგვიძლია, რომელიც ამა თუ იმ მოვლენიდან მრავალი წლის და ზოგჯერ რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი შექმნილა“ და აქვე დასძენს: „1832 წლის შეთქმულებიდან 1886 წლამდე 54 წელი იყო გასული. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ერის დიდი ტკივილი, საკმაოდ კარგად ახსოვდათ თანამედროვეებსაც და შემდგომ თაობასაც. შეთქმულთა ხსოვნა, საბედნიეროდ, უფრო მეტ დროსაც გაუძლებს და მათი გმირობა სამარადჟამოდ დარჩება ერის ისტორიის საამაყო ნიშანსვეტად“ (2024, გვ. 359).

რა თქმა უნდა, მწერალს ნებისმიერი დროის შესახებ შეუძლია წერა... ამ შემთხვევაშიც არაფერია სამსჯელო და ისევ სხვა საკითხს შევხებით:

ე. ი., მკვლევარის აზრით, თუნდ ისე ჩანდეს, რომ 1832 წლის შეთქმულება არის ასახული ლექსში, მის დასათარიღებლად ეს ფაქტი არ გამოდგება, რადგან ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1886 წლის ახლო პერიოდში დაიწერა იგი. მაგრამ, ვფიქრობ (ამას ადრეც ვწერდი /2024ა: გვ. 176), ასე მოგვიანებით ვერ იქნება შექმნილი და ადრეული პერიოდისაა კლდე-კანელის „ვპოვე ტაძარი“: **1886 წლის ახლო ხანებში** მცხოვრებ ადამიანს **სპეციალური დაკვირვების გარეშე** გაუძნელდებოდა მიხვედრა, რა მოვლენებს ასახავს ლექსი, **იმ დროს** უკვე **ბუნდოვანი** იქნებოდა მისთვის, რომელ გმირებზე წერს პოეტი, ვის იხსენიებს აუგით და **სწორედ ეს გარემოება** მიაჩნებოდა, გაცილებით ადრე – **იმ ხანებში** რომ დაუწერიათ ხსენებული სტრიქონები, როცა **ახალი მომხდარია** ის მძიმე მოვლენა, რომელიც **იმდენად ნაცნობია** **იმდროინდელთათვის**, რომ **დაკონკრეტებულად წერას** არ **საჭიროებს**, რომელზეც ალბათ ყველა ლაპარაკობს; იმ პერიოდისა ჩანს ლექსი, როცა **ადვილად მიხვდებოდა წამკითხველი**, რის შესახებ წერია მასში; დიდი მოვლენიდან (შეთქმულებიდან) ძალზე ახლო პერიოდში უნდა იყოს იგი დაწერილი და, თუ ასეა, ე. ი., **გვექონია ლექსის მიახლოებულად დათარიღებისთვის საჭირო სარწმუნო არგუმენტი**.

მკვლევარს მიაჩნია, რომ კლდე-კანელის „ვპოვე ტაძარი“ „სავსეა ალუზიებით ბარათაშვილის შემოქმედებიდან“; ასახელებს რამდენსამე ლექსს და მეკითხება: „ყველა ეს ჩამოთვლილი ლექსი 1833 წლის შემდეგაა შექმნილი. მაშ, რითი ავხსნათ 1833 წელს დაწერილ ლექსებში ჯერ დაუწერელი ლექსების ალუზიები?“, შემდეგ კი დასძენს, რომ

კლდე-კანელის ლექსების „პოეტიკა, სტილი, ლექსიკა“ განსხვავდება ბარათაშვილის ლექსებისგან, რომ „სხვაობა ისეთია, როგორიც ცასა და დედამიწას შორის!“ (2024, გვ. 360).

პასუხი: მე არ მიწერია, რომ კლდე-კანელის ფსევდონიმით დაწერილი სტრიქონები ბარათაშვილის ლექსებზე ალუზიებითაა შექმნილი, – გამოვთქვი აზრი, რომ პოეტის, როგორც ჩანს, ამ არშენახულ ლექსთა ლექსიკა მომდევნო პერიოდის ლექსებში აისახა (განა შეუძლებელია, პოეტმა რაიმე დაწეროს, შემდეგ კი, მით უმეტეს, თუ ადრინდელი ნაწერი ვერ შემოენახა, სხვა ლექსებში გაიმეოროს ადრე ნახსენები სიტყვები?!), ასე რომ, ჩემთვის ალუზიებთან დაკავშირებული კითხვის დასმა უადგილოა; ჯული მეთანხმება იმ საკითხში, რომ ფსევდონიმ კლდე-კანელით დაწერილი და ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“ ორი დამოუკიდებელი ლექსია, ამასთან აღნიშნავს, რომ კლდე-კანელისა „სუსტია“, „ოღონდ არა ბარათაშვილის, არამედ სხვადასხვა ავტორისა“ (2024, გვ. 361) (ალბათ უნდა ეწეროს – „სხვა ავტორისა“); სუსტია თუ არა კლდე-კანელის ეს და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსი (ბარათაშვილის „ჩემს ლოცვას“ რომ მახსენებს),⁴ ამჯერად არ ვიდავებ („შემოღამებასა“ და „მერანს“, ცხადია, ვერ უტოლდება, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ მაღალი დონისაა და მშვენიერია ისინი); ჯ. გაბომის აზრით, „ლექსების შინაარსი, გაუმართავი ფრაზები და ლექსიკა, მძიმე და მოუხეშავი სტილი, სუსტი რითმები, სიტყვათა არაერთგზის გამეორება სტრიქონებში ცალსახად ამტკიცებს, რომ შეუძლებელია წარმოდგენილი ლექსების ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყოს!“ (2024, გვ. 362); ვთხოვ, დააკონკრეტოს ავტორმა, ტექსტთა დადგენის შემდეგ სად ჩანს „მოუხეშავი სტილი“, „გაუმართავი ფრაზები“, ბარათაშვილისთვის უცხო, მიუღებელი, ლექსიკა, რა არის „ლექსების შინაარსში“ გაუგებარი (თუ დარწმუნებულია, რომ შეცდომებით დავადგინე ტექსტი, მიჩვენოს ეს შეცდომები); გამეორებები ამ ლექსებში უმეტესწილად მხატვრულია (ამგვარი და ჩვეულებრივი გამეორებები ბარათაშვილის ცნობილ ლექსებშიც გვხვდება);⁵ „სუსტი რითმების“ შესახებ კი დავძენ: ბარათაშვილი რითმას ძალიან რომ არ ხვეწს, ეს კარგადაა ცნობილი; რა არის მიზეზი – ქართულ პოეზიაში ერთხანს გავრცელებული (აღმოსავლურად მიჩნეული) გარეგნული „ტკბილ-ხმოვანებისგან“ გათავისუფლება სწადია პოეტს, თუ მიაჩნია, რომ ასე წერა ევროპეიზმთან აახლოებს, ეს სხვა საკითხია.

მკვლევარი წერს: „ლექსები თუ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის არქივიდან იყო, ცხადია, უთუოდ ეცოდინებოდა რედაქტორს, ვასო

აბაშიძეს, და თუ გოჩა კუჭუხიძეს გაუჩნდა მოსაზრება, რომ ეს ლექსები შეიძლება ბარათაშვილს ეკუთვნოდნენ [...], რატომ რედაქტორსა და მის თანამშრომლებს არ დაებადათ იგივე მოსაზრება“ (2024, გვ. 356-357).

ლექსების მსგავსებიდან გამომდინარე, ცხადია, დაებადებოდათ იგივე მოსაზრება... და ხომ სრულიად გარკვევით წერია ეს ჩემს სტატიაში, აი ციტატა: **«ბარათაშვილის ლექსთან სიახლოვეს რედაქციაშიც შეამჩნევდნენ, შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ ალუზიაა კლდე-კანელის ფსევდონიმით ხელმოწერილ „ვპოვე ტაძარში“ და სათაურში ბრჭყალები (და მასზე – სამი წერტილი) მათ დაამატეს; ან იქნებ მსგავსების გამართლება სცადეს ამ ნიშანთა დასმით»**; შემდეგ ვწერ: „ნაბეჭდი ტექსტიდან იგრძნობა, რომ სათაურის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა გამოჩენილი, – ალბათ მასზე და ლექსის დასაწყისზე გაამახვილებინეს ტექსტის ამწყობს ყურადღება; ჩანს, ამ მხრივ გამოუჩენია გულისყური, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ლექსის დასაწყისში დასმული ბრჭყალების დახურვაც დავიწყებია და შემდეგ კი უამრავი შეცდომა მოსვლია ამწყობს“ (2024ა, გვ. 178); წერილში ისიც მაქვს ნათქვამი, რომ, ჩანს, არ იცოდნენ რედაქციაში, „ვინ იყო ავტორი“ და, „რადგან ფსევდონიმის ქვემოთ ვინმეს გვარის დასახელება იყო საჭირო, ხელნაწერის მფლობელის გვარი მიაწერეს“; აქვე აღნიშნულია, რომ „თუ ჩაეძიებოდნენ ცენზორები და მაინც იკითხავდნენ ავტორის ვინაობას, უპასუხებდნენ, რომ არ იციან ავტორის შესახებ და თავს ისე მოაჩვენებდნენ, ვითომ ეგონათ, რომ კოლექციონერის დასახელებაც საკმარისი იყო“ (2024ა, გვ. 174); ე. ი., ვფიქრობ, რედაქციას ალბათ „დაებადა იგივე მოსაზრება“ და ბრჭყალებში იმიტომ ჩასვეს სათაური და ლექსის დასაწყისი, თუმც არ დაუხურავთ ეს ბრჭყალები (შესაძლოა, მბეჭდავის უყურადღებობა კი არაა მიზეზი, – რედაქციას ვერ გადაუწყვეტია, სად დახუროს ბრჭყალები; დაბეჭდვის უფლების მიღების შემდეგ როგორმე დაადგენდნენ დახურვის ადგილს და უფრო გამართავდნენ მთელ ტექსტს). ხსენებულ სტატიებში მე უფრო იმ აზრისკენ ვიხრები, რომ **იცოდნენ რედაქციაში (ეჭვით მაინც), ბარათაშვილს რომ ეკუთვნის ლექსები**, მაგრამ მოერიდნენ მისი სახელის გამჟღავნებას, რადგან ისიც ეცოდინებოდათ, **სახელმწიფო მოხელეს რომ შეურაცხყოფს** ერთ-ერთი ლექსი, რაც, შესაძლო იყო, შეემჩნია კომიტეტს და, რათა ბეჭდვისას, შემდგომ, წინააღმდეგობა არ შეხვედროდა დიდ პოეტს, შეეცადნენ „გაეპარებინათ“ გაზეთში მისი ლექსები; მთავარი იყო, დაბეჭდვის უფლება მიეღოთ და გამოქვეყნების შემდეგ, როცა საშუალება შეიქმნე-

ბოდა, გააგებინებდნენ მკითხველს, თუ ვინ არის კლდე-კანელი, რა მოვლენას უკავშირდება ეს ლექსები.

ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, მათი გამოქვეყნების ძლიერი სურვილი რომ აქვს რედაქციას იმ პოპულარულ გაზეთში, რომელშიც აკაკი, ვაჟა, თუ ყაზბეგი იბეჭდებოდნენ; მიუხედავად იმისა, რომ, ჩანს, შეცდომებით სავსე ხელნაწერი ჰქონიათ და გამწვანებით ტექსტის დადგენა, გაუგზავნიათ ლექსები კომიტეტში, რაც იმ აზრს ბადებს, რომ არც უნიჭოდ დაწერილად მიაჩნდათ და, რაც მთავარია, იცოდნენ, ძალზე მნიშვნელოვანი ავტორის მიერ რომ იყო ისინი შექმნილი; დიდი სურვილი რომ არ ჰქონდეთ, არ გაგზავნიდნენ ჯერაც დასადგენ ტექსტს კომიტეტში (ვინმე მიმბამველის ლექსის დასაბეჭდად ასე არ გაირჯებოდნენ) და, რაც ძალზე საყურადღებოა, არც კომიტეტის საგანგებო ყურადღების ქვეშ მოექცეოდა ეს ლექსები, – საგანგებო შემოწმების საგანი რომ გამხდარა ისინი, იქიდან ჩანს, კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით რომ აუკრძალავთ მათი გამოქვეყნება, ანაბეჭდზე გაკეთებული წარწერიდან ვხედავთ, მხოლოდ ცნობილი ცენზორის – სოლომონ მელიქ-მეგრაბოვის სურვილით კი არა – კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებით რომ აკრძალულა მასალა, რაც განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა.

ლექსების აკრძალვასთან დაკავშირებით ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, რომ ასევე 1886 წელს, „თეატრის“ 27 ივლისის ნომერში, გამოქვეყნებულია ბარათაშვილის საღალღობო ლექსი, რომელიც მართა ერისთავისადმია მიმღვნილი („გლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ, თასი!“); იგი გვერდის ბოლოშია დაბეჭდილი იმ ხალხური, უმეტესწილად, ნაკლებად მაღალმხატვრული, ლექსების შემდეგ, რომლებსაც მიწერილი აქვს: „შეკრებილი თავად. რ. ერისთავისაგან“, „შეკრებილი პლატონ ჩინჩალაძისაგან“, „შეკრებილი რ. მირზაანელისაგან“; დიდი პოეტის მანამდე უცნობი ლექსი ამ სტრიქონებს მოსდევს: „მაჩხაანის პატარძლებმა /დახე რა მიყვესო: /სტვირი დამაკვრევინეს და /თვითონ იტლინკესო“... ბარათაშვილის ლექსთან, სათაურის ადგილას, წერია: „გაგონილი და შეკრებილი კნეინა ნინო ორბელიანისაგან“ და სქოლიოში რედაქციის მინაწერია: „ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან კნეინა მართა ერისთავის თასზედ და ჯერ არსად დაბეჭდილა. ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და ვისურვებთ, რომ სხვებმაც მიჰბადონ პატივცემულ კნეინას და ყველა ამისთანა ძველი, დაუბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინებულ მწერალთა გახადონ მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად“;

ამ მინაწერში სიტყვა „შეკრებილი“ უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს, – ბარათაშვილის მხოლოდ ერთი ლექსია დაბეჭდილი, „შეკრებილი“ კი, ცხადია, ლექსების თავმოყრას გულისხმობს და იბადება ვარაუდი, რომ სხვა ლექსიც (ან ლექსებიც) შეუთავაზებია ნინო ორბელიანისას „თეატრისთვის“, რომ რედაქციას ადრევე ჰქონდა მომზადებული ტექსტი, რომელიც ბარათაშვილის ერთზე მეტ ლექსთან უნდა მიეწერა და მის ექსპრომტთან შემთხვევით დარჩა იგი (თუმც ისიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ ხალხურ სტრიქონებზე გაკეთებულ მინაწერთა ინერციით მექანიკურად მიაწერეს ბარათაშვილის ლექსზე სიტყვები: „გაგონილი და შეკრებილი“); არაა შეუძლებელი, რომ ბარათაშვილის ექსპრომტთან ერთად, ნინო ორბელიანისამ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის არქივში დაცული, კლდე-კანელის სახელით დაწერილი, ლექსებიც მიუტანა რედაქციას⁶ (შესაძლოა, მიუწვდებოდა ამ არქივზე ხელი, რომელიც იქნებ იმ საგუბერნიო ბიბლიოთეკაშიც იყო გადატანილი, რომლის დასაარსებლადაც იღვწოდა გუბერნატორი /იხ. მე-3 შენ./, მაგრამ, ექსპრომტისგან განსხვავებით, ცენზურამ არ დაუშვა მათი გამოქვეყნება, რადგან, სახელმწიფოსათვის მიუღებლად მიიჩნია ისინი; ფაქტია, რომ ერთგვარ „ჩრდილშია მოქცეული“ ბარათაშვილის ექსპრომტი (მის სხვა ლექსთა დონისა არ არის, მაგრამ დიდ პოეტს ეკუთვნის, მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდის ამსახველია და გამორჩეულად წარმოჩენას იმსახურებდა); ეს ფაქტები იმავე შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ბარათაშვილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ადრე რაღაც უკმაყოფილება შეხვედრია რედაქციას და ახლა ცდილობს, ზედმეტი ყურადღება არ მიიქციოს მის სტრიქონთა დაბეჭდვისას, თუმც იცის პოეტის ფასი და იმდენს მაინც ახერხებს, რომ „წარჩინებულთა“ შორის მოიხსენიოს იგი. ჯულიეტა გაბოძე იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ „თეატრის“ რედაქცია აფრთხილებს მწერლებს, გაგზავნილ მასალას დაურთონ „სახელი, გვარი და მისამართი“, რომ გაზეთი ასეთ განცხადებებს წერდა ხოლმე: „ახალ-სენაკში ბ. ოტიას: თქვენი ორი ლექსი მივიღეთ, დასაბეჭდად გამოდგნენ, [...] უთუოდ უნდა შეგვატყობინოთ თქვენი სახელი და გვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლექსებს ვერ დავბეჭდავთ“, რომ სხვა განცხადებაში ვკითხულობთ: „ქუთაისი, გელ. ჩვენ მოვიწონეთ, სხვამ დაიწუნა“ და, აქედან გამომდინარე დასძენს: „ამდენად, ცხადია, რედაქციამ უსათუოდ იცის ლექსების ავტორის ვინაობაც და მისამართიც“ (2024, გვ. 355); ე. ი. მკვლევარის აზრით, რადგან გაგზავნა რედაქციამ საცენზურო კომიტეტში კლდე-კანელის ლექსები, ეს იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტუ-

რად დაუდასტურებია მას ცენზორთათვის, ფალავანდიშვილის გვარის მქონე ადამიანის დაწერილი რომ არის ისინი და მისამართიც სცოდნია ამ ფალავანდიშვილისა (რომელსაც, მიუხედავად ამისა, რატომღაც არ გაასწორებინა უამრავი შეცდომით სავსე ეს ტექსტი, დადგენასთან დაკავშირებულ საკმაოდ რთულ მუშაობას რომ საჭიროებდა);⁷ მაგრამ არქივის მასალებს შორის, როგორც ითქვა, გვხვდება ისეთები, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ **რედაქცია ამა თუ იმ მიზეზის გამო არ უსახელებს კომიტეტს იქ გაგზავნილი მასალის ავტორის ვინაობას, მხოლოდ ფსევდონიმს ახსენებს და ეს კი კომიტეტის უკმაყოფილებას იწვევს** (ეროვ. არქ.; საისტ. არქ., ფ. 480, 1, 142; 480, 1, 232; 480, 1, 300; 480, 1, 1419...) ცხადია, შეგვიძლია დავუშვათ, რომ **კლდე-კანელთან დაკავშირებითაც დაახლოებით იგივე მოხდა**; აქვე დავამატებ: ჩანს, სიტყვებით – *„ჩვენ მოვიწონეთ, სხვამ დაიწუნა“* ავტორს მიაწინებენ, რომ მოწონთ მისი ლექსები, მაგრამ „სხვა“ (ალბათ – ცენზურა) იწუნებს მათ, რაც უფრო საფიქრებელს ხდის, რომ **სხვა დროს უკვე მომხდარა ისეთი შემთხვევა, როცა კომიტეტში ავტორის ვინაობის დაუსახელებლად გაუგზავნია „თეატრის“ რედაქციას მასალა**; ზემოხსენებულ წერილებში ვვარაუდობდი და ამჯერადაც იმ აზრს ვავითარებ, რომ იცოდნენ კომიტეტში (ან შემდეგ გაარკვეეს) **სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფა** რომ არის კლდე-კანელის სახელით დაწერილ ლექსებში გამოხატული, **მძიმე პოლიტიკურ მოვლენას რომ უკავშირდება ისინი**, შესაძლოა, ისიც უწყოდა კომიტეტმა (და იქნებ – რედაქციამაც), ბარათაშვილი რომ არის ამ ლექსების ავტორი, აუკრძალეს „თეატრს“ მათი გამოქვეყნება, მუშაობა დაუწუნეს გაზეთს და ამ ფაქტითაა გამოწვეული, ექსპრომტის დაბეჭდვისას შექმნილი ერთგვარი უხერხულობა რომ შეინიშნება რედაქციის მუშაობაში.⁸

მკვლევარი განაგრძობს: *„ბარათაშვილის ავტოგრაფულ კრებულებში უსათაურო ლექსები პოეტის პირველ, 1876 წლის გამოცემაში და შემდეგ გამოცემებშიც ბრჭყალებშია ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ სათაური ავტორისეული არაა. [...] ბრჭყალებში ზის კლდე-კანელის ფსევდონიმით წარმოდგენილი ამავე სახელწოდების ლექსიც“* და, აქედან გამომდინარე, ასეთ დასკვნას გთავაზობს ჯულიეტა გაბოძე: *„ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეპიგონი ავტორი სწორედ რომ 1876 წლის და შემდგომი ნაბეჭდი წყაროებიდან იცნობს ამ ლექსს და სათაურიც ამიტომ ჩაუსვამს ბრჭყალებში. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ბარათაშვილის ავტორობის საკითხს“* (2024, გვ. 361-362).

ასეთი არგუმენტები კატეგორიული დასკვნის საფუძველს რომ ვერ ქმნის, ეს მეცნიერის ამ სტატიიდანაც კი ჩანს, – მისი ავტორი ხომ თვითონვე წარმოაჩენს, ბარათაშვილის უსათაურო ლექსებზე გამომცემლები თავად რომ წერდნენ ხოლმე სათაურებსა და ბრჭყალებს და, ცხადია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, ამ ლექსსაც რედაქციამ (და არა – ეპიგონმა) მიაწერა ბრჭყალები და, შესაძლოა, (ვამატებ ჩემს ზემოხსენებულ წერილში ნათქვამს) ეს სამწერტილიანი და ბრჭყალებში მოთავსებული სათაურიც რედაქციის მინაწერია; ბარათაშვილზე მინიშნების სურვილით რომ იყოს ბრჭყალები მიწერილი (რასაც ეპიგონი კი არა – პოეტთან გამოხმაურების მოსურნე ავტორი გააკეთებდა), მაშინ, როგორც ითქვა, ეპიგრამის მიწერით ან სხვა საშუალებით უკეთ წარმოგვიჩენდა ეს ავტორი დიდ პოეტს, გარკვევით გაგვაგებინებდა, ბარათაშვილს რომ ეხმაურება; საფიქრებელი უფრო ის არის, რომ ბარათაშვილთან მსგავსების გამო „თეატრში“ დაუსვამთ ბრჭყალები და „ვინმე ფალავანდიშვილის“ მიერ არ არის ისინი დაწერილი.

მკვლევარი დასძენს: „ბარათაშვილის არცერთი ლექსი ფსევდონიმით ხელმოწერილი არაა. თუკი კლდე-კანელი (ეს მეტად შთამბეჭდავი და ბიბლიური შინაარსის ფსევდონიმი) მას ეკუთვნოდა, რატომ არცერთ კრებულში არ მიუთითა?“, შემდეგ ამ სიტყვებს ვკითხულობთ სტატიაში: „ფსევდონიმს, ჩვეულებრივ, ავტორები რამდენიმე მიზნით მიმართავენ ხოლმე. როცა ტექსტი მწვავე კრიტიკული ხასიათისაა, ან ცენზურასთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად“... ავტორი აღნიშნავს, რომ „ბარათაშვილის არცერთი ნაწერი მის სიცოცხლეში დაბეჭდილი არ ყოფილა, რადგან იმ წლებში თითქმის არც გამოდიოდა ბეჭდური პრესა, ორიოდვე გამონაკლისის გარდა, [...] შესაბამისად, ცენზურის შიშიც გამორიცხებული იყო“; აქვე წერია: „არადამაჯერებელია არგუმენტი, თითქოს გიმნაზიელმა ყმაწვილმა ეს ფსევდონიმი ჟანდარმერიისგან თავდასაცავად გამოიყენა ლექსის სატირული ხასიათის გამო. ორივე ლექსის შინაარსი ცხადყოფს, რომ არცერთი მათგანი არც სატირული ჟანრისაა და არც ხელისუფლების კრიტიკას შეიცავს“ (2024, გვ. 362).

შეიცავს თუ არა „ხელისუფლების კრიტიკას“, არის თუ არა ხსენებული ლექსები „მწვავე კრიტიკული ხასიათისა“, ამ საკითხს სტატიის ბოლოს ისევ შევეხები, ამჯერად კი ვიტყვი, რომ მე სატირა არ მიწოდებია ამ ლექსებისთვის, აღვნიშნავდი, რომ, შესაძლოა (მომყავს ციტატა), „ლექსებთან ერთად [...] რაიმე წერილიც (იქნებ – პასკვილური

ხასიათის) გაგზავნეს ყმაწვილებმა (არ არის გამორიცხული, რომ ამ ლექსების სახით ფალავანდიშვილთან გაგზავნილი კორესპონდენციის მხოლოდ ნაწილია არქივის ამ ფონდში შემორჩენილი)“, რომ „არა მხოლოდ აქ წარმოდგენილი ლექსები, არამედ სხვებიც“ გაგზავნეს ყმაწვილებმა (2024ა, გვ. 178; 180)⁹ (იქნებ მათ შორის სატირულებიც იყო); რაც შეეხება ცენზურის შიშს, სტატიებში ცხადად მაქვს გამოკვეთილი აზრი, რომ კრიტიკულ ლექსებს (რომლებიც გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული) ცენზურის შიშის გამო კი არ წერდა პოეტი ფსევდონიმით (იმ დროს არც არსებობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი), არამედ სახელმწიფო ორგანოებს, იმ პირებს უმაღლავდა ვინაობას, ვისაც უგზავნიდა კორესპონდენციებს.¹⁰

ფსევდონიმებზე საუბრისას ჯულიეტა გაბოძე დასძენს (აქვე ფსევდონიმ „მირიან ივერსაც“ ეხება იგი):¹¹ „თუ გადავხედავთ, გაზეთის ნომრებს, ვნახავთ, რომ თითქმის ყველა კორესპონდენტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხელს აწერს გეოგრაფიული წარმომადგენლობის მიხედვით“, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ლექსების ავტორის „ფსევდონიმი შესაძლოა იყოს კლდეკარელი“ (2024, გვ. 363). ამ ვარაუდს, ცხადია, აქვს არსებობის უფლება, თუმც ანაბეჭდში ორ ადგილას დეფისით წერია „კლდე-კანელი“ და დასადგენია, რა სახის შეცდომის შედეგად გაჩნდა დეფისები (ისიც გასათვალისწინებელია, რომ კლდე-კანელი ის ფსევდონიმი უნდა იყოს, რომელიც გამოსაქვეყნებლად არც შექმნილა, იგი უპირველესად ერთი ადრესატისთვის ჩანს დაწერილი და ერთ-ერთი ლექსის შინაარსთან უნდა იყოს დაკავშირებული).¹²

აზრი მკვლევარის სტატიიდან, რომელიც გასაზიარებელია, ეს არის:

„მთავარია გაირკვეს მიზეზი, რის გამოც აიკრძალა ლექსები, ამისთვის კი აუცილებლად სანახავია საცენზურო კომიტეტის წესდების ის მე-6 და მე-9 მუხლები, რომლებსაც უთითებს ცენზორი. ვფიქრობთ, არცთუ შეუძლებელი უნდა იყოს ამ წესდების მოძიება, რაც უთუოდ ნათელს მოჰფენს ლექსების აკრძალვის მიზეზს“ (2024, გვ. 357).

როცა შემოხსენებული სტატიების წერისას ვვარაუდობდი, რომ კლდე-კანელის „ვპოვე ტაძარი“ პოლიტიკური ხასიათისაა და სახელმწიფო მოხელეა მასში შეურაცხყოფილი, საცენზურო წესდება ჯერ არ მქონდა ხელთ, შემდეგ მოვიძიე იგი და გაირკვა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პარაგრაფების საფუძველზეა ლექსები აკრძალული: მე-3 პარაგრაფი (მუხლი) იმ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას

კრძალავს, რომლებიც სარწმუნოებას არყევს და თვითმპყრობელი ხელისუფლების ხელშეუხებლობას საფრთხეს უქმნის, ან იმპერატორის სახლისადმი უპატივცემულობას გამოხატავს (“Когда въ оныхъ содержится что-либо нарушающее неприкосновенность Верховной Самодержавной власти или уваженіе къ ИМПЕРАТОРСКОМУ Дому”), მე-6 პარაგრაფის მიხედვით (იგი მე-3 პარაგრაფს ეფუძნება) იმ მასალის დაბეჭდვა იკრძალება, რომელიც თავისუფალი ინტერპრეტაციისა და მავნებლური შინაარსის ამოკითხვის საშუალებას იძლევა, მე-9 პარაგრაფი კი ცენზურისგან მოითხოვს, უმაღლესი ხელისუფლების ხელშეუხებლობის დასაცავად ისტორიულ და პოლიტიკურ ნაწარმოებთა განხილვისას მკაცრად მიედევნოს თვალი, რათა ისეთი არაფერი მოხვდეს მათში, რაც რუსეთის ხელისუფლებისა და მასთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფ ხელისუფლებათა მიმართ შეურაცხყოფის გამომხატველია:

“§ 6. Руководствуясь въ точности постановелнными въ § 3 правилами, Цензура долженствуетъ обращать особенное вниманіе на духъ разсматриваемой книги, на видимую цель и намереніе Автора, и въ сужденіяхъ своихъ принимать всегда за основаніе явный смыслъ рѣчи, не позволяя себѣ произвольнаго толкованія оной в дурную сторону. Объясненія Автора на замеченныя Цензурою мѣста, допускаются, если только сіи объясненія не противны явному смыслу рѣчи”; § 9. Въ разсматриваніи сочиненій Историческихъ и Политическихъ, Цензура ограждаетъ неприкосновенность Верховной власти, строго наблюдая, чтобы въ оныхъ не содержалось ничего оскорбительнаго, какъ для Россійскаго Правительства, такъ и для Правительствъ, состоящихъ въ дружественныхъ съ Россією сношеніяхъ” (წესდება, 1829, გვ. 5-8; /ბოლდი ციტატაში ყველგან ჩემია).

ამრიგად, წესდებამ დაგვიდასტურა, რომ შეიცავს „ხელისუფლების კრიტიკას“ და „მწვავე კრიტიკული ხასიათისა“ აქ განხილული ლექსები („ვპოვე ტაძარის“ შინაარსიდან გამომდინარე მეორე ლექსშიც ადვილად იკითხება პოლიტიკური ვითარებისგან გამოწვეული სევდა), აღარაა საეჭვო, რომ სცოდნიათ კომიტეტში (დიდ ინფორმაციაზე მიუწვდებოდათ ხელი), რუსეთის სახელმწიფოს (დიდ სახელმწიფო მოხელეს) რომ აქვს ერთ ლექსში შეურაცხყოფა (“оскорбление”) მიყენებული, მძიმე ისტორიულ მოვლენას რომ უკავშირდება ორივე ლექსი და ამჯერად უკვე იმ საკითხის დაზუსტებაა საჭირო, კერძოდ რომელი

პოლიტიკური მოვლენისკენ უნდა წარვმართოთ უმთავრესი ყურადღება, კონკრეტულად რომელ სახელმწიფო მოხელეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგია კლდე-კანელის „ვპოვე ტაძარში“ შეურაცხყოფილი; იმ ხანებში მომხდარი ყველაზე უფრო განსაკუთრებული მოვლენა 1832 წლის შეთქმულება იყო, სრულიად თავისუფლად არის საფიქრებელი, სწორედ ამ მოვლენას ეხებოდეს საცენზურო კომიტეტის მიერ აკრძალული სტრიქონები, რომ შეთქმულთა და მაშინდელი გუბერნატორის სახეები მოჩანდეს ხსენებულ ლექსში და, ამდენად, ყოველად დაუშვებელია ასეთი ხელაღებით უარყოფა მოსაზრებისა, რომლის თანახმად, დიდი პოეტის ადრეული ლექსებია ჩვენ წინაშე.

შენიშვნები:

1. ციტატა იაკობ ბალახაშვილის წიგნიდან (გრიგოლ გურიელის მოგონება): ბარათაშვილს „ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო, ეს დაიწყო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა“ (ბალახაშვილი, 1967, გვ. 118; 123).

2. ფალავანდიშვილს ხელისუფლებისთვის შეტყობინების („донесение“) წერა რომ ევალეობოდა (და ის ფაქტიც, ტფილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დასაარსებლად თანხებს რომ ეძიებდა), კარგად ჩანს ბარონი როზენის მიერ 1836 წელს დაწერილი ერთი წერილიდან: „[...] я требовалъ донесенія Грузинскаго гражданскаго губернатора о томъ, какое сделано им распоряженіе [...] а заведеніи в Тифлисъ губернской библіотеки [...] Палавандовъ, рапортомъ [...] доносить, что [...] хотя возобновлялъ сношеніе съ [...] предводителемъ дворянства [...], но послѣдствія таковыхъ сношеній не имѣли желаемаго успѣха. [...] отъ нѣкоторыхъ лицъ, хотя и были приношенія, но приношенія сіи, весьма скудны“ (აქტები, 1881, გვ. 62-63).

3. ჯ. გაბოძე აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის „არქივის შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არაა“ (2024, გვ. 355); როგორც ვნახეთ, ნიკოლოზს ტფილისის ბიბლიოთეკის დასაარსებლად საკმაოდ უღვაწია, ამ საქმიანობაში გვერდით უთუოდ დაუდგებოდა მმისშვილი – ზაქარია, ბიბლიოთეკის დაარსების ასევე აქტიური მონაწილე (სხვათა შორის – ბარათაშვილის თანაკლასელი...), ბუნებრივია, უპირველესად ის უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიბლიოთეკის შესავსებად გამოიყენებდა მისი დაარსებისთვის მოღვაწე ბიძა-მმისშვილი ამ არქივს, შესაძლოა, ჯერ 1842 წელს დაარსებულ „კერძო

საამხანაგო ბიბლიოთეკაში“ მოხვდა იგი, ანდა მთავარმართებლის კანცელარიის წიგნთსაცავს გადაეცა, ბოლოს კი (ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ) 1846 წელს დაარსებულ საგუბერნიო ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.

4. როცა კლდე-კანელი ღვთისმშობელს ამ და სხვა სიტყვებით მიმართავს: „*არ აღვირეცხო შენზე ტკბილი, ღრმა სასოება?..*“ (შეად. „*ჰოი, სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას*“/ბარათაშვილი), ზოგჯერ მგონია, რომ ეს ლექსი თავდაპირველად, შესაძლოა, არც იყო გუბერნატორთან გასაგზავნად, მის წინაშე სულიერი ტკივილის წარმოსაჩენად გამიზნული, მაგრამ შემდეგ რომელიღაც მიზეზის გამო მაინც მოხვდა ფალავანდიშვილთან...

5. მაგ., კლდე-კანელი წერს: „*არისლა მხედერი შენი სულდგმულ?! [...]* *ოდეს მხვედრს, ჰოი, დედაო ღმრთის, შენც ვერ ელხინე?*“ და მსგავსი გამეორება ბარათაშვილის „*ხმა იდუმალშიც*“ გვხვდება: „*ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, [...]* *მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ*“...

6. მკვლევარი კითხულობს: „*არსებობს რაიმე ცნობა, რომ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის არქივზე ხელი მიუწვდებოდა გაზ. „თეატრის“ რედაქციას? ან ვის შეეძლო უკვე გარდაცვლილი გუბერნატორის არქივის მასალების დასაბეჭდად გაგზავნა 1886 წელს?*“ (2024, გვ. 355); ვფიქრობ, ამ კითხვებზეც ვიძლევი აქ სავარაუდო პასუხებს.

7. ანაბეჭდებში უამრავი შეცდომის არსებობა იმაზე მიანიშნებს, რომ ძველი და ძნელად გასარჩევი ხელნაწერიდანაა ტექსტები გადაბეჭდილი და რედაქციისთვის არ არსებობს საშუალება, კავშირი იქონიოს ავტორთან, რათა გაასწორობინოს ტექსტები და იძულებულია, ასეთი სახით წარადგინოს ისინი კომიტეტში; იმ დროში მცხოვრები ავტორის დაწერილი რომ იყოს ლექსები, ვფიქრობ, სრულიად სხვა სახე ექნებოდა ამ ანაბეჭდებს...

8. კომიტეტთან უკმაყოფილება რომ მოსდიოდა ხოლმე „თეატრის“ რედაქციას, ამას არქივში შემორჩენილი დოკუმენტებიც ცხადყოფს; მაგ., **დაბეჭდვის უფლების მიღების შემდეგ** 1886 წლის თებერვლის ჯერ მე-5, შემდეგ კი მე-6 ნომრებში ისეთი წინადადებები „**გაუპარებია**“ „**თეატრს**“, რომელთა გამოქვეყნებაც **აკრძალული იყო კომიტეტის მიერ**; „თეატრის“ ამ თვითნებობის შესახებ თავის პატაკში ლუკა ისარლიშვილი წერს (იხ. ფ. 480, 1, 724); საერთოდ, გამომცემლობების ამგვარი ქმედების ამსახველი უამრავი დოკუმენტია კომიტეტის არქივში დაცული და აქ ის ვარაუდიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ **მსგავსად** მოქცეულა, – რომ კლდე-კანელის ლექსების ყველა სტროფი არ გაუგზავნია რედაქციას კომიტეტში და შემდეგ აპირებდა დამალულის გამოქვეყნებას, გაზეთში მის „გაპარებას“.

9. სხვათა შორის, **ყმაწვილი რომ არის კლდე-კანელი**, ამას მისი ეს სიტყვებიც მაფიქრებინებს: „*თავი და შხამი ცხოვრებისა ყრმის ნდობით ვიცნე*“ /ყმაწვილურად მიენდო ცხოვრებას და ასე შეიცნო მისი სიმწარე; აქვე დავძენ, რომ სიყმაწვილესთან დაკავშირებით მსგავსი შინაგანი განწყობა შეინიშნება ბარათაშვილის ცნობილ ლექსებში: „**ხმა იდუმალი**“ და „**სულო ბო-**

როტო“, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათში გრძელდება სიყმაწვილეზე ფიქრი...

10. ჯულიეტა გაბომის კითხვას: „რატომ არ შეიტანა არცერთ კრებულში პოეტმა ამ ლექსთაგან რომელიმე?“ (2024, გვ. 361) ამგვარადვე ვუპასუხებ: **მაღადა**, თავისი დაწერილი რომ იყო სახელმწიფო მოხელეებთან გაგზავნილი შეურაცხყოფელი ლექსები (**ჟანდარმერიას რომ არ შეეტყო**, როგორც ირკვევა, **დაუწვავს კიდეც არაერთი მათგანი**) და **ამიტომ არ შეიტანდა** მათ თავის ხელნაწერ კრებულებში, რომელთა ნახვაც **ბევრ ადამიანს შეეძლო**.

11. ამ ფსევდონიმის შესახებ მკვლევარი წერს: *«სხვათა შორის, აქვე შევნიშნავთ, ფსევდონიმი „მირიან ივერის“ ბარათაშვილისთვის მიკუთვნება ივანე ლოლაშვილს საეჭვოდ მიაჩნია [...], ჩვენ შევისწავლეთ ბარათაშვილის რამდენიმე ავტოგრაფული კრებული და მათი ხელნაწერი ასლები, ასევე, „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფი და 11 ხელნაწერი წყარო და სრულად ვიზიარებთ ივ. ლოლაშვილის ამ მოსაზრებას»* (მითითებულია – ბარათაშვილი, თხულებანი, 1972, გვ. 167; – 2024, გვ. 363). ივანე ლოლაშვილი ხსენებულ ნაშრომში შემდეგს წერს: *«მინაწერი: „მირიან ივერისა მიერ“, რომელსაც მკვლევრები ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმად ვარაუდობენ [...], მიუწერია ტექსტისაგან განსხვავებული მელნით მიხეილ თუმანიშვილს“... ე. ი., ამ ნაშრომში ხელნაწერია აღწერილი და მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ, მკვლევართა ვარაუდით, „მირიან ივერი“ პოეტის ფსევდონიმი იყო; რამდენადაც სიტყვა „ვარაუდია“ ნახსენები, ე. ი., ცხადია, ბოლომდე მართლაც არ არის დარწმუნებული, მაგრამ ჩანს ისიც, რომ არ გამოთქვამს ივ. ლოლაშვილი ისეთ „სრულად გასაზიარებელ მოსაზრებას“, რომლის თანახმად, არ ჰქონდა ეს ფსევდონიმი პოეტს; მკვლევართა ამ ვარაუდის უარყოფა მართლაც არ შეიძლება: იმდენს მიხვდებოდა თუმანიშვილი, გაითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ოდესმე ფსევდონიმად იქნებოდა მის მიერ ნახსენები „მირიან ივერი“ მკითხველთა მიერ აღქმული და **ბარათაშვილის სურვილის გარეშე** „ისე, უბრალოდ“ არ დაწერდა ლექსთან ამ სახელს; სიტყვები „მირიან ივერისა მიერ“ ფურცელზე დაუფიქრებლად, ანგარიშმიუცემლად დაწერილის შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, ეტყობა, რომ ამ სახელითაც იცნობდნენ პოეტს მეგობრები (მათ შორის – მისი თანაკლასელი მიხეილ თუმანიშვილი), რომ **საკმაოდ ვრცელ წრეში იყო ცნობილი ეს ლიტერატურული სახელი**, რომ ე. ი., ფსევდონიმი ყოფილა იგი; საფიქრებელია, რომ სწორედ ამ სახელით დაწერა პოეტმა თავისი შედეგრი – „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და ამიტომ მიაწერა თუმანიშვილმა ხსენებულ ლექსს „მირიან ივერისა მიერ“; ჩანს, ბევრმა იცოდა და არ მიიჩნია საჭიროდ განმარტება, თუ ვინ არის მირიან ივერი. ვიმეორებ: დაუშვებელია უარყოფა შეხედულებისა, რომ ჰქონდა პოეტს ეს ფსევდონიმი.*

12. ვფიქრობ, ფსევდონიმში ნახსენები „კლდე“ პეტრე მოციქულის სახელზე (კეფა) მიაწმინდებს, კანა კი ის ადგილი უნდა იყოს, სადაც წყალი ღვი-

ნოდ გარდაქმნა მაცხოვარმა, ჩანს, ფსევდონიმაც კონკრეტულ სათქმელზე მეტყველებს, – ვხედავთ, რომ, შეთქმულთა მარცხისა და იმის მიუხედავად, ღმერთს რომ დაცილდა ადამიანი, რწმენაში მაინც გაუტეხელად და ცხოვრების სასიკეთოდ გარდაქმნის მოიმედედ რჩება პოეტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბალახაშვილი, ი. (1967). ბარათაშვილის ცხოვრება. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
- გაბოდze, ჯ. (2024). *ბარათაშვილის ეპიგონი „კლდე-კანელის“ ლექსების ატრიბუციისათვის*, „ლიტერატურული ძიებანი“, XLIV.
- ინგოროყვა, პ. (1983). ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი. თბილისი: „მერანი“.
- კუჭუხიძე, გ. (2023). *ვინ იყო კლდე-კანელი?* „ლიტერატურული საქართველო“, 15,16.
- კუჭუხიძე, გ. (2024). *ვინ იმალება კლდე-კანელის ფსევდონიმის მიღმა*. ჟურნ. „განთიადი“, 3-4.
- ჩიქოვანი, ი. ბიჭიკაშვილი, ი. თავად ფალავანდიშვილების საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი. საქართველოს ეროვნული არქივი.
<https://archive.gov.ge/ge/nuskhebi-da-komentarebi-1/>
- Акты. (1881). Акты Собранные Кавказскою Археологическою Комиссиею. VIII. Тифлис: Тип. Гл. Управления Наместника Кавказского.
- Устав о цензуре (Утв. 1828 г.). (1829). СПб.: Департамент народного просвещения.

References:

- Akty (1881). Akty Sobrannye Kavkazskoyu Arkheograph. Komissieyu. [Acts Collected Caucasian Archaeological Commission]. VIII. Tiflis: “Tip. Gl. Upravleniya Namestnika Kavkazskogo”.
- Balakhashvili, I. (1967). Baratashvilis tskhovreba. [Life of Baratashvili]. “Lit’erat’ura da khelovneba”.
- Chikovani, I. & Bich’ik’ashvili, I. Tavad Palavandishvilebis sagvareulos ist’oriuli nark’vevi. [A Hisrotical Sketch on a Noble Family of Palavandishvili]. National Archives of Georgia.
<https://archive.gov.ge/ge/nuskhebi-da-komentarebi-1>
- Gabodze, J. (2024). *Baratashvilis ep’igoni K’lde-K’anelis leksebis at’ributsiisatvis. [Epigon of Baratashvili For the Attribution of “Klde-Kaneli’s” Poems]. “Literary Researches”*. XLIV. TSU.
- Ingoroq’va, P’. (1983). Akhali kartuli lit’erat’uris pudzemdebelni. [Founders of New Georgian Literature]. Tbilisi: “Merani”.

- K'uch'ukhidze, G. (2023). *Vin iko K'lde-K'aneli? [Who Was Klde-Kaneli?]*. „Lit. Sakartvelo”, 15,16.
- K'uch'ukhidze, G. (2024). *Vin imaleba K'lde-K'anelis psevdonimis mighma. [Who is Hidding Behind Klde-Kaneli Pseudonym]*. Mag “Gantiadi”, 3-4.
- Ustav (1829). Ustav o tsenzure Utv. 1828 g. [Censorial Statute of 1828 Approved]. SPB.: Departament narodnogo prosvesshenya.